თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 12

ქ. თერჯოლა 2 დეკემბერი 2025 წელი

**სხდომას უძღვებოდა:** კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩხიკვაძე

**სხდომას ესწრებოდნენ:** 1. ზურაბ ჩხიკვაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3.გოჩა ვერულაშვილი, 4. გრიგოლ გიორგაძე, 5. მამული კოვზირიძე, 6. ომარი ჯიხვაშვილი, 7. ბადრი ბუცხრიკიძე, 8. მაკა ყიფშიძე, 9. ნატო კვეტენაძე, 10. გიორგი ბერეკაშვილი, 11. სოსო ჩაფიჩაძე, 12. სერგი ჯიხვაშვილი.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:** 1. ნინო მახათაძე, 2. მირზა აფრიდონიძე.

**კომისიის შემადგენლობა:** 14 წევრი
**დამსწრე წევრთა რაოდენობა** : 12 წევრი
**კვორუმი:** 7 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282533546, 01.12.2025 წ.).

მომხს.: ზ.ჩხიკვაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 12, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩხიკვაძემ, კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია საშემოსავლო ნაწილის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ .

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 836.4 ათასი ლარით და შეადგენს 37881.7 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 836.4 ათასი ლარით: (გრანტი გაიზარდა 323.6 ათასი ლარით და სხვა შემოსავლები 512.8 ათასი ლარით (ჯარიმები, სანქციები და საურავები)).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 122.7 ათასი ლარით. მ/შორის:

საკრებულოს დაფინანსება შემცირდა 12.0 ათასი ლარით.

მერიის დაფინანსება შემცირდა 10.0 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვის დაფინანსება შემცირდა 30.7 ათასი ლარით.

კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი შემცირდა 5.0 ათასი ლარით.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა შემცირდა 10.0 ათასი ლარით.

გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია ექსპლოტაციის ხარჯი შემცირდა 5.0 ათასი ლარით.

გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი შემცირდა 35.0 ათასი ლარით (სტიქიის ეკონომია).

კულტურის სახლების დაფინანსება შემცირდა 6.5 ათასი ლარით.

მუზეუმების დაფინანსება შემცირდა 8.5 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 959.1 ათასი ლარით. მ/შორის:

წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსება გაიზარდა 15.0 ათასი ლარით.

კომუნალური მეურნეობის განვითარება დაფინანსება გაიზარდა 35.0 ათასი ლარით.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 28.0 ათასი ლარით.

დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 250.0 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 200.0 ათასი ლარით.

საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსება გაიზარდა 351.1 ათასი ლარით (სკოლის ტრანსპორტირების დაფინანსება).

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.

სპორტული სკოლის დაფინანსება გაიზარდა 15.0 ათასი ლარით.

სახელოვნებო სკოლების დაფინანსება გაიზარდა 5.5 ათასი ლარით.

ბიბლიოთეკების დაფინანსება გაიზარდა 9.5 ათასი ლარით.

სოციალური პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 40.0 ათასი ლარით.

**აზრი გამოთქვეს:** დავით გოგბერაშვილმა, გიორგი ბერეკაშვილმა.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 12 , წინააღმდეგი -0**

**გადაწყვიტეს:** მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

ზურაბ ჩხივაძე